სახალხო გაზეთი

№ 898 კვირა, 19 მაისი 1913 წ. № 898

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სვიმონ პეტრეს ძე რუსიშვილი, ალექსანდრა, ალექსი, ვანო და თამარი რუსიშვილები, ბიძა: **ალექსანდრე**, ბიძაშვილები: **ალექსი, ილიკო და ნიკა რუსიშვილები**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა დ ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის—საყვარელი მეუღლე დ მეორეთა—ძვირფასი დედა

ნინა ივანეს ასული რუსიშვილისა.

გამოსვენება მოხდება. (პლოტნიცკის ქუჩა, საკუთარი სახლი 104). კვირას, 19 მაისს, დილის 10 საათზე ნაძალადევის ეკლესიაში და დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

თალიკო ჯიჯავაძისა აუწყებს განსვენებულ ქმრის, სარატოვის საკატორღო ციხეში გარდაცვალებულ პოლიტიკურ ტუსაღის

პეტრე დავითის ძის ჯიჯავაძის |ანუ ჯიაძის|

ნაცნობთ, ნათესავთ და ამხანაგებს, რომ გარდაცვალების წლის თავზე გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში, კვირას, 19 მაისს დილის 11½ საათზე.

ორშაბათს, 20 მაისს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

ბარბარე დავითის ასულის კნეინა ჯორჯაძის

რასაც აუწყებენ ნათესავთა დ ნაცნობთ განსვენებულის **შვილები თავადნი ალექსანდრე და ნიკოლოზ ლევანის ძენი, ელენე ლევანის ასული ჯორჯაძენი და ნინო ლევანის ასული ყარალაშვილისა.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—წირვის შემდეგ. 292

გარდაიცვალა გადასახადთა ინსპექტორი თავადი

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ვეზირიშვილი,

რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე **ვერა მაკედონის ასული.** პანაშვიდები 17 და 18 მაისს, საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე, სლეპცოვის ქ., № 3. გამოსვენებს კვირას, 19 მაისს, დილის 10 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე ეკლესიის სასაფლაოზედ. 287

ქართული თეატრი

კვირას, 19 მაისს, შუადღის 12 საათზე,

შალვა ქარუმიძე წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:

„რომის ბატონობა და განმანთავისუფლებელი მოძრაობა რომსა და პროვინციებში“.

მოკლე შინაარსი: რომის იმპერიალიზმის დასაწყისი და მსოფლიო-პოლიტიკური ტენდენცია რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში.—ახალი ქვეყნების დაპყრობა და მწვავე საკითხი იმის შესახებ: შეიერთებენ დაპყრობილ ქვეყნებს პროვინციებათ, თუ დამოუკიდებელ, მაგრამ ავტონომიურ სახელმწიფოებათ? პოლიტიკური შეხედულებანი რომის ხელმძღვანელი პარტიებისა და სახალხო კრებებისა. პროვინციების მართვა-გამგეობა. პავლ. ემილი აღმოსავლეთში და გ. იულ. ცეზარი გალთა ქვეყანაში. იმპერიალიზმით შეტანილი ცვლილებანი რესპუბლიკის ცხოვრებაში და ამ ნიადაგზე აღმოცენებული განმანთავისუფლებელი მოძრაობა რომში. პოპულიარებისა და ოპტიმატების პარტიები და მათი პოლიტიკურ სოციალური შეხედულებანი.

II) პროვინციის პასუხი რომის პოლიტიკაზე. საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილის სხვა და სხვანაირი განწყობილება რომის ბატონობისთან. ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობანი პროვინციებში და განსაკუთრებით იუდეაში. განმანთავისუფლებელ მოძრაობის დამარცხება. ბნელეთის წყვდიადი საშუალო საუკუნეთა და განცდილ საზოგადოებრივ მოძრაობის მაჩვენებელი ნიშნები.

ადგილების ფასები დაკლებულია. 1208

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

სამშაბათს, 28 მაისს, 1913 წ.

ზაქ. პ. ფალიაშვილი გამართავს ქართულ კონცერტს

მ. ა. კოლოტოვისა და ივ. პ. სარაჯიშვილის მონაწილეობით.

შესრულებული იქნება: 1) მ. მ. იპპოლიტ ივანოვის ,,სიუიტა ივერია'' დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის ნაწარმოები. 2) ზაქ. პ. ფალიაშვილის ახალი ქართული ოპერიდან **,,აბესალომ და ეთერი''** პირველი სურათი და მესამე მოქმედება,—აბესალომის როლს შეასრულებს **ივ. სარაჯიშვილი.** 3) ა) ქართული სახალხო სიმღერები ხოროსა და ორკესტრისათვის და [illegible] შემუშავებული ზ. ფალიაშვილის მიერ და ბ. ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ ცალკე ნომრები.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი კოლოტოვისა, პრესინსკისა, კოვალენსკისა, ბ-ნნი ივ. სარაჯიშვილი, ინაშვილი, ლორთქიფანიძე, პეტროსიანი, ქართული ფილარმონიულ საზოგადოების გაძლიერებული გუნდი და ახალი კლუბის სიმფონიური ორკესტრი ზაქ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით რეჟისორი **კონსტ. ანდრონიკაშვილი.** დასაწყისი საღამოს სრულ 8½ საათზედ. დაწვრილებით პროგრამმაში. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში. 1207

საარტისტო საზოგადოების თეატრი

კვირას, 19 მაისს,

მეორე და უკანასკნელი საღამო იაპონიის ხელოვნებისა

განაკო ოტასი.

1) **მსახიობ ქალის მომზადება.**

პირველი განყოფილ. 1) **ცეკვა** პირველი სასწავლო წელიწადი. 1. საბავშო ცეკვა. მეორე სასწავლო წელიწ. 2. ხარუსამე (გაზაფხულის წვიმა). 5—6 სასწავლო წელიწად. 3. სიოკუმი (ქალწულის სიყვარული). **მეორე განყოფილება: II) მუსიკა სამისენის:** მქუხარე მდინარე. **იაკუბოს დაკვრა:** ღამის ქარი. **მესამე განყოფილება: III) ხმის შემუშავება სხვა და სხვა როლისათვის, სხვა და სხვა მანერა, მიმოხვრა და მიმიკა.** 1. დედა ბავშვით; 2. მაწანწალა ბენტენკოზო; 3. პატარა ქალი; 4. ბიჭი; 5. სიყვარული,; პირველი შეხვედრა; პატარძალი; 6. სიცილი; 7. საშინელება.

II) **თავის მოკვლა**, დრამა 2 მოქმედებად, სარაიასიკისა და **მოახლე ოტაკე**, პიესა ერთ მოქმედებად (მეორე ვარიაცია). მთელი პროგრამის განმარტებას წაიკითხავს **ნ. ნ. შისტოვი.**

დასაწყ. საღამ. 8-ნახევარ ს. ბილეთები თეატრის კასაში იყიდება. 288

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

სამშაბათს, 2. მაისს, ელ. ჩერქეზიშვილის და ალ. წუწუნავას მონაწილეობით სახ. სახ. არს. ქართ. წარ. მმართ. წრის სცენის-მოყვარეთა მიერ წარმოდგ. იქნება: ცნობილი პიესა (გადმოკეთებული **ნინოშვილის** რომანიდან) **ქრისტინე**, 4 მოქმედ. ირეთელისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ს. ანკარა, ნ ბადრიძე, გოდერძი, კახელი, თ. ნარაკიძე, ტანელი' პიერეტტა, მ. რომანიშვილი და ელ. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ვ. მინდიაშვილი. ალ. მეტრეველი, გ. სვანელი, რ. სალუყაია, ფრონისპირელი. დ ჩიქოვანი, ნ. ჭანკვეტაძე, მ. ქიაურელი, ალ. წუწუნავა და ჯაბაური.

დასაწყის. საღ. 8-ნახევ. ს. ადგილების ფასი 15—80 კ.

142 გამგე **ალ. ბადრიძე.**

კვირას, 26 მაისს, ახალი კლუბის ბაღში, გაიმართება სეირნობა

ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

საზოგადოების გამგეობა დახმარებასა სთხოვს ყველას. ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული და გაზეთში გამოცხადდება. 1201

ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 19 მაისს, 1913 წ.

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ მსახიობ **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ,,**პატარა კახი**'', ისტორიული დრამა 5 მოქ. ა. წერეთლისა. **მონაწილეობას ღებულობს წრის მთელი დასი.** ბაღი ახლად შეკეთებული და გაჩირაღდნებული. ანტრაქტებში დაუკრავს წრესთან არსებული სიმებიანი ორკესტრი ბ. შეთანაშვილის ხელმძღვანელობით. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასები 4—50 კაპეიკამდე.

1029 მორიგი გამგე **რ. ჯიბლაძე.** რეჟისორი **ი. ივანიძე.**

ახალი კლუბი

საზაფხულო თეატრი

კვირას, 19 მაისს, ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ ბ. **ვასო აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

,,გაცრუებული იმედები''

მხიარული კომედია 2 მოქმედებად აზიანისა

მონაწილეობენ: ქ-ნნი ჯავახიშვილი, ქიქოძისა, ქილარჯიშვილი, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გუნია, მგალობლიშვილი, ბერიშვილი, ციციშვილი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1162

Общество
Кахетинскихъ садовладѣльцевъ
„Кахетія“
въ Тифлисѣ.
№

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი, ,,კახეთი''-ს საზოგადოება საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოეკიდება სასამართლოს წესით. 1054

დღეს, 19 მაისს, 1913 წ. დღით 12 საათზედ

კლუბის დარბაზში დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრება

,,ახალი კლუბის'' წევრთა.

განსახილველია:

1) მოხსენება მამასახლისთა საბჭოსი კლუბის საზამთრო შენობის გადაკეთების შესახებ და არჩევნები ახალ წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა. 1162

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ. მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ. ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე.

(**წელიწადი მეცხრე**).

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი. ✦ **მოზრდილთათვის 12 წიგნი.**

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან** ✦ **,,ბიძია თომას ქოხი''**, ✦ სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი ,,ნაკადული'' მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—,,ნაკადულის'' რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1140 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

ბროლის ღიმილი

ლექსები ურითმოდ

ი. გრიშაშვილისა

ორი შაური.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში ტფილისში და ტფილისს გარედაც. 286

ტფილისის საკომერციო ბანკი

აცხადებს, რომ ზაფხულის 3 თვის განმავლობაში, ბანკის დარკინულ სალაროში

მიიღება შესანახად

ძვირფასეულობის დასაფარი ყუთები.

სულ პატარა № 1—3 მ., პატარა № 2—3 მ. 50 კ., საშუალო № 3—5 მ. 1212

ქარხნის მარკა

კონიაკი და ლიკორი

ს. ს. შამრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდილნაია**, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. № 7—93.** 97

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ლიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ექიმი შ. ა. მიქელაძე. იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94**, კიროჩნი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 6—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

სინოდის დღე სათათბიროში

სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა არაროდეს არ გათავებულა სასულიერო მთავრობისთვის ისე სასიამოვნოდ და მოულოდნელად, როგორც მეოთხე სათათბიროში გათავდა გუშინწინ.

სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა ყოველთვის „დიდ დღედ“ გადაიქცეოდა ხოლმე მესამე სათათბიროში. ეს არც გასაკვირველია: თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც-ერთი უწყება, გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროსი, არ იწვევს იმდენს უკმაყოფილებას, რამდენადაც სასულიერო მმართველობის უმაღლესი სფერები და მათი პოლიტიკა. მართლმადიდებელ ეკლესიის საქმე რუსეთში უკვე კარგა ხანია გახრწნისა და დაშლის გზას დაადგა და იმის მდგომარეობის განახლებ-გაუმჯობესებაც, ამიტომ, კარგა ხანია მორიგ საგნად აქვს აღიარებული არა მარტო პროგრესიულ რუსეთს, არამედ ბევრ კონსერვატიულ ჯგუფებსაც, რომელნიც ვერ შერიგებიან სინოდის ბატონობას, ძველ საეკლესიო თვითმმართველობას, სასულიერო წოდების ყოველმხრივ დაქვეითებას, ეკლესიაში არა სასურველ ზნე-ჩვეულების გამეფებასა და, საერთოდ, არა-ნორმალურ მიმდინარეობას საეკლესიო ცხოვრებისას. განმათავისუფლებელ მოძრაობის ხანა რომ დადგა, საეკლესიო რეფორმის და მასთან ძირითად რეფორმის აუცილებლობა ყველასათვის ცხადი გახდა. თვით სინოდი იძულებული შეიქნა დასთანხმებულიყო საეკლესიო კრების მოწვევას, პატრიარქის არჩევას, მრევლის თვითმმართველობის შემოღებას და სხვა რადიკალურ ცვლილება-რეფორმას... მაგრამ, გავიდა დრო, გაძლიერდა რეაქცია და სინოდმაც უკუაგდო გუშინ აღიარებული საჭიროებანი ეკლესიის განახლებისა და აღორძინებისათვის. მას შემდეგ სინოდის უწყებაში არაფერი აღარ გაკეთებულა და მდგომარეობა გაუარესდა; წინანდელ სიავეს ახალიც მიემატა: სასულიერო მაღალი სფერები გაიმსჭვალნენ უწინ უცნობის მებრძოლის კლერიკალიზმით; ეხლა ეკლესია ჩაერია პოლიტიკაში და აძლიერებს რეაქციას არა მარტო თავის სამფლობელოში, არამედ სახელმწიფოს ცხოვრების ყველა სფეროში.

ასეთი მიმართულება საეკლესიო საქმეთა, როგორც ვთქვით, დიდს უკმაყოფილებას იწვევდა და სათათბიროც სასტიკად უხვდებოდა სინოდის ბიუჯეტის გარჩევა-მიღების საქმეს. ბევრი მწარე სიტყვა უკლავდა გულს სინოდის მოხელე-გამგეთ, რომელთაც უმთავრესად სიცრუესა და ცბიერებას სწამებდნენ არა თუ მთავარ აღთქმათა აუსრულებლობის გამო, არამედ იმისთვისაც, რომ უბრალო და მცირე მნიშვნელობის მოთხოვნა და სურვილიც-კი სათათბიროსი არასოდეს არ აუსრულებიათ. უკიდურესი მემარცხენენი და კადეტები-კი არა, ზომიერი პროგრესისტები და ლიბერალებიც სასტიკად თავს ესხმოდნენ სინოდს და კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდნენ მის ბიუჯეტს. მართალია, ცხარე კამათიდან ბოლოს და ბოლოს არაფერი გამოდიოდა: ოქტომბრისტების შეოხებით სინოდი იღებდა მთელ მოთხოვნილ ხარჯთ-აღრიცხვას; მაგრამ, იმასაც მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ორი-სამი დღის განმავლობაში სასულიერო მაღალ სფერებს ბევრი მწარე საყვედური და მხილება ესმოდათ ხალხის წარმომადგენელთაგან...

წელს ჩვეულებრივზე უფრო სასტიკ კამათს მოელოდნენ ამ დღეს, მაგრამ, სინოდი გადარჩა უვნებლად: არა-თუ ბიუჯეტი შეუმცირებლად დაუმტკიცეს, კრიტიკაც არავითარი არ მოუსმენია. დეპეშებიდან ვიცით უკვე, რომ სწორედ კამათის დაწყებისას თავმჯდომარემ, მემარჯვენეთა ძალდატანებით, უმიზეზოდ სიტყვა წაართვა დეპ. ჩხეიძეს; ამან გამოიწვია მშრომელ ჯგუფის თავმჯდომარის კერენსკის პროტესტი, მერე ჩხეიძისა და კერენსკის გაძევება და ამას მოჰყვა მთელი ოპოზიციის გარედ გამოსვლა; როგორც „კავკაზ“-ს ატყობინებდნენ გუშინ დეპეშით, ოქტომბრისტების უმრავლესობაც-კი გასულა დარბაზიდან, რათა სინოდის ბიუჯეტის განხილვა ოპოზიციის დაუსწრებლად არ მომხდარიყო. მაგრამ ნაციონალისტებს, მემარჯვენეთ და ოქტომბრისტების ერთ ჯგუფს ქვორუმი შეუდგენიათ და სინოდის ხარჯთ-აღრიცხვა უვნებლად გაუყვანიათ.

სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს დეპუტატს, ვარლამ გელოვანს, განზრახვა ჰქონდა ვრცელის დასაბუთებულის სიტყვით გამოსულიყო სინოდის წინააღმდეგ, აღეძრა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ და დაესურათებინა ჩვენი საეკკლესიო საქმეთა უკიდურესად არა ნორმალური მდგომარეობა. ეს გამოსვლაც, სხვა ოპოზიციის დეპუტატთა გამოსვლაც აღარ მოხერხდა...

ასე უნუგეშოდ დაიწყო ცალკე ხარჯთ-აღრიცხვათა განხილვაც. უეჭველია, ეს საქმეც ისე უმნიშვნელოდ ჩაივლის, როგორც საბიუჯეტო საზოგადო კამათმაც ჩაიარა. და ასე უფერულად გათავდება მე-IV სათათბიროს არსებობის პირველი წელიწადიც.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 [illegible] არ იღებს [illegible] ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

კბილის ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს სამარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. სემიონოვის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის ახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი ქუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი.
ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი. ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606“-ით 1053

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
ასპისოვი. ყურის, ცხვირის და ყელის ავადმ., ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არღუთინსკი, ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
აბულაძე ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—4 ს.
ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., 4—5 ს.
ვესელოვზოროვი. სადოსტაქრო ყოველ დღე 3—4 საათ.
ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. ყოველ დღე 2—3 ს.
გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ბალდოვი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1—2 ს.
ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ ყ.-დღ. 12—1 საათ.
ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.
ა. პ. მხითარიანცი. ვენერიულ, კანისა და სამარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ქალური და საბებიო ავადმ. ყოვ.-დღე 1—2 ს.
ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტატი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
ა. ა. ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.
ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა: 11½—12½ საათ.
შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1½ 2½ ს.
სათვალეების არჩევა.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

17 მაისის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

ფირსოვი პირველი კითხულობს საბიუჯეტო კომისიის მოხსენებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაზე. კომისიამ სამინისტროს მიერ ნათხოვნი ფული 1,774,060 მანეთი შეამცირა. სამინისტროსთვის ნავარაუდევია 10.664,177 მ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამინისტრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სათათბიროს სურვილებს. მორიგ საკითხზე გადასასვლელ ფორმულაში, კომისია სურვილს გამოსთქვამს სამინისტრომ არა უგვიანეს 1915 წლისა შემოიტანოს სათათბიროში მცხოვრებთა აღწერისთვის საჭირო თანხის კანონ-პროექტი.

ალექსანდროვი. რუსეთის ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველივე ძალი და ღონე იხარჯება არა ქვეყნის წარმატებისთვის, არამედ ყოველგვარ თავისუფლების შეზღუდვისათვის. პიროვნების თავისუფლების დარღვევა რუსეთის პოლიტიკურ კონიუნქტურას წარმოარგენს. მოლაპარაკეს მრავალი მაგალითი მოჰყავს, რომლითაც სამინისტროს პოლიტიკის უვარგისობას ამტკიცებს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბეჭვდითი საქმის კანონ-პროექტს. ამ კანონ-პროექტითო, ამბობს მოლაპარაკე, სამინისტრო სცდილობს ჩაჰკლას თავისუფალი აზრი და ერის შემოქმედება, იმ ერისა, რომელმაც შეჰქმნა დიადი რუსული ენა. დღევანდელ მომენტში ფრიად საგრძნობია კულტურულ აღორძინების საჭიროება; მაგრამ ეს აღორძინება ეროვნულის შოვინიზმით კი ვერ მოხდება, არამედ ერის თვით-მოქმედებითო.

შიდლოვსკი პირველი ლაპარაკობს ოქტომბრისტთა სახელით. მისი აზრით შინაგან საქმეთა სამინისტრო სწორე გზას არის აცდენილი. მან გააუქმა მესამე განყოფილება და პოლიტიკურ პოლიციის საქმეებს შეუდგა. ამ პოლიციის სულით არის გაჟღენთილი მთელი სამინისტრო; ამ სულითვე გაიჟღენთა იუსტიციის სამინისტროც, სასულიერო უწყებაც. საზოგადოებას ეს ფრიად დიდ ხიფათს უმზადებს (ტაში ცენტრსა და მარცხნით). მოლაპარაკე აღნიშნავს, რომ სამინისტრო მოკლებულია საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ალღოს აღების უნარს; სამაგიეროდ განსაკუთრებული წესები დიდ პატივშია. მოლაპარაკის აზრით განსაკუთრებული წესები გამხრწნელ გავლენას ახდენენ მთავრობასა და საზოგადოებაზედაც. თუ კანონმდებლობა არ გვაკმაყოფილებს, საჭიროა ნორმალურ კანონმდებლობის შემოღება. მოლაპარაკე ეხება სამინისტროს საკანონმდებლო მოღვაწეობას და დასძენს, რომ წვრილი კანონ-პროექტები, რომელნიც სამინისტრომ შემოიტანა განსახილველად, უმეტესად ადმინისტრაციის გასაუმჯობესებლად არის შემოღებული და ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მსხვილ კანონ-პროექტებში მოლაპარაკე პირველ ყოვლისა საერობო დებულებათა რეფორმას აღნიშნავს. ყველასათვის ნათელია, თუ რამდენად არის საკითხი მომწიფებული. უმთავრესი ნაკლი არსებულ კანონისა შემდეგია: წოდებრიობა, ქონების ცენზის სიდიდე და ადმინისტრაციის მეთვალყურეობა ერობის მოქმედებაზე. შიდლოვსკის აზრით, ეს სამი დიდი ნაკლი უეჭველად უნდა ჩამოსცილდეს ერობებს; მოლაპარაკეს აზრით, საჭიროა სამინისტრომ სერვიტუტთა კანონ-პროექტი შეიმუშაოს. დასასრულს მოლაპარაკე ჰგმობს ბეჭვდითი სიტყვის კანონ-პროექტს. (ხანგრძლივი ტაში ცენტრსა და მარცხნით).

ლემპიცკი ახასიათებს რუსეთის საშინაო პოლიტიკას საზოგადოდ და კერძოდ პოლონეთში. რუსეთი ცენტრალიზაციის უღელ ქვეშ სულსა ჰლაფავსო, სთქვა მოლაპარაკემ. საჭიროა იმპერიის ყველა კუთხეში ფართო თვითმმართველობის შემოღება. მთავრობის პოლიტიკა პოლონურ კულტურის გაქრობასა და პოლონელთა გარუსებას სცდილობსო. შინაგან საქმეთა სამინისტრო არის ამგვარ პოლიტიკის გამომხატველი; ამისთვის პოლონელთა კოლო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის წინააღმდეგ მისცემს ხმასო (ტაში მარცხნით).

ნოვიცკი მოვალედ სთვლის თავს მოაგონოს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ ლემპიცკის, რომ უმაღლეს ხარისხს მან მიაღწია მაშინ, როდესაც რუსის პურს სჭამდა. მით უფრო სამწუხაროა, რომ ამისტყვებს ლემპიცკისგან ისმენს, თუკი რუსეთში რაიმე სამწუხარო ამბავი ხდება და საზოგადოდ დაქვეითება შემჩნეული, ამისთვის კადეტთა და მემარცხენე ოქტომბრისტების მოღვაწეობას უნდა დავუმადლოთო. მოლაპარაკე ეკამათება შიდლოვსკის; (ტაში მარჯვნით).

კარაულოვი. წინად სათათბირო კიბოსავით უკან-უკან იწევდა, ეხლა წყალ-წყალა სიტყვების ჩმახვას მოჰყვა. ესკი ფრიად სახიფათოა. საჭიროა, მან ასწონ-დასწონოს ხალხის ჭეშმარიტი საჭიროებანი და გადასადები ფული. თუ ფული ხალხის მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მაშინ ხარჯთაღრიცხვა სათათბირომ უნდა უარჰყოს. (ტაში მარცხნით).

ბურიანოვი და იანუშკევიჩი ჰგმობენ სამინისტროს პოლიტიკას და მის მოქმედებას. აღნიშნავენ, თუ რა გვარ ავიწროებს ადმინისტრაცია მუშათა ორგანიზაციებს და იხცოვრებთ. ისინი მოუწოდებენ სათათბიროს, ხარჯთ-აღრიცხვა არ დაამტკიცოს.

გრონსკი. კადეტების სახელით, ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ავიწროებს ადმინისტრაცია საერობო თვითმართველობათა საკულტურო მოქმედებას.

ახტიამოვი. სამინისტრო სდევნის მუსულმანთა სამღვდელოებას, სამრევლო სკოლებს და მათ პრესასაც კი, თუმცა ყველა ამას პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ხასიათი არ აქვს. სამინისტრო სცდილობს მუსულმანთა შორის აღმოაჩინოს პანისლამიზმი და პანმონღოლიზმი. მოლაპარაკის აზრით, შესაძლებელია რუს მუსულმანთა შორის პანისლამიზმიც და პანმონღოლიზმიც იყო, მაგრამ იდეა პანისლამიზმსა თვის თავად უტოპიაა.

ბომაში აღნიშნავს, რომ ებრაელთა მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. რაც იყო 150 წლის წინად, ეხლაც ის არის. ებრაელები თავიანთ თავს რუს მოქალაქეებთან ერთად სრულ-უფლებოვანად ჰგრძნობენ; მოითხოვენ თანასწორ უფლებოვანად აღიარონ ისინი. შემდეგი სხდომა 19 მაისს.

სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

17 მაისის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს. საბჭო იხილავს კერძო სასწავლებელთა წესების პირველ მუხლს.

ზინოვიევი მეორე. ერობის წინააღმდეგ გალაშქრება სამართლიანი არ არის. მათ შეცდომებში ადმინისტრაციაა პასუხისმგებელი.

კოვალევსკის საჭიროდ მიაჩნია მუხლში შეიტანონ ქალაქები და ერობები. ამის საბუთად მოლაპარაკეს მოჰყავს სიტყვები, რომლითაც კანონ-პროექტი იწყება. თუ ერობებს და ქალაქებს არ შევიტანთ მუხლში, მაშინ ისე გამოვა, თითქოს მათ კერძო სასწავლებლების დაარსება ეკრძალებათ. ერობის დამსახურება სწავლა-განათლების საქმეში დიდია. შეუძლებელია მათ წაერთვას სპეციალურ სასწავლებელთა დაარსების უფლება.

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი ტაუბე. ერობის ღვაწლს სწავლა-განათლების საქმეში არავინ უარჰყოფს. კანონპროექტი განსაკუთრებით კერძო სასწავლებლებს ეხება. ერობების მოხსენება პირველ მუხლში საჭირო არ არის. მათ შეუძლიათ სპეციალური სასწავლებელნი დაარსონ სხვა გზით.

მელერ-ზაკომელსკი აღნიშნავს, რომ ერობამ 1864 წლიდან შეიმუშავა პირველად პირველ-დაწყებითი სასწავლებლის ტიპი. ასეთი სასწავლებელი ჯერ არა ყოფილა. სამინისტრომ ათი წლის შემდეგ შეიმუშავა პირველ-დაწყებითი სასწავლებლის წესდება ერობის ცდით. შემდეგ ქალაქები და ერობები შეუდგნენ უმაღლეს სასწავლებელთა ტიპის შემუშავებას. ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებლის ტიპი ქალაქებმა შეიმუშავეს. მოლაპარაკის აზრით საჭიროა პირველი მუხლი კომისიის რედაქციით მიიღონ.

ლესევიცკი. კომისიის რედაქციის მომხრეა. საჭიროა ერობების უფლებანი გაფართოვდეს.

ეროვნული საკითხი

თავი I*)

ისტორიული მიმოხილვა

3

უკრაინა.

როდესაც რუსეთის ერთა ნაციონალურ მოძრაობაზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ უკრაინელებს. ბედმა უკრაინელებიც ორ სახელმწიფოში მოაქცია—ავსტრიასა და რუსეთში. ავსტრიაში უკრაინელებმა მოახერხეს ეროვნულ-კულტურული განვითარება, რადგანაც ავსტრიის კონსტიტუციონალიზმი რამდენადმე ამის საშუალებას აძლევდა. რუსეთში კი გარდა საერთო პოლიტიკურ პირობებისა, უკრაინელების ეროვნულ განვითარებას ხელს უშლიდა მტრული საზოგადოებრივი სულიერი განწყობილებაც. ძალიან დიდ-ხანს რუსეთის საზოგადოებას არ უნდოდა შეჰრიგებოდა იმ აზრს, რომ არსებობს განსაკუთრებული უკრაინული ენა, არსებობს განსაკუთრებული, რუსულისაგან სრულიად განსხვავებული, უკრაინული ხელოვნება, რომელიც რუსულ კულტურის მიერ შექმნილ ჩარჩოებში ვერა თავსდებოდა. ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმ ოფიციალურ რუსეთზე, რომელიც, რათქმა უნდა, სულ სხვა მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, როდესაც უკრაინელების ეროვნულ უფლებებს არ აღიარებს. დიდი, ცენტრალისტური სახელმწიფო, მატარებელი იმპერიალისტურ იდეალებისა, რა თქმა უნდა, ყოველთვის იქითკენ მიისწრაფვის, რომ რაც შეიძლება მეტად გაათანასწოროს კულტურის მხრით სხვა და სხვა ეროვნებანი დაუკარგოს მათ ინდივიდუალური სახე და პატარა ნების ყოფა პატარა ხალხისა თავის დიდს სურვილებს და ნებისყოფას დაუქვემდებაროს. ამისთანა პირობებში ყოველ-გვარი დამოუკიდებელი, თავისუფალი გამოხატულება ეროვნული ინდივიდუალობისა აბრაზებს და აღიზიანებს იმპერიალისტურ იდეალებით გატაცებულ სახელმწიფოს. პატარა ერთა მისწრაფება ისეთ რამედ მიიჩნია, რაც თავისთავად არავითარ კულტურულ ღირებულებას არ წარმოადგენს და მხოლოდ აფერხებს იმ „დიადი“ მისიის შესრულებას, რომლისთვისაცაა მოწოდებული დიდი სახელმწიფო. ასეთია ფსიხოლოგია ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოებისა, თუ გამოვაკლებთ ინგლისს, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო, იძულებული გახდა დამორჩილებულ ერთა მიმართ პოლიტიკა გამოეცვალა და ამ საშუალებით დაეკავშირებინა გეოგრაფიულად დაშორებული პროვინციები.

უკრაინელები ამ მხრით ყველაზე უარეს მდგომარეობაში იყვნენ. თავდაპირველად საჭირო იყო იმ აზრის განმტკიცება, რომ უკრაინულ ენას ისეთივე მოქალაქობრივი უფლება აქვს, რანაირიც ყველა სხვა ენას. რამდენად ძნელი იყო ამ აზრის განმტკიცება, იქიდან დავინახავთ, რომ დღესაც კი, როდესაც არსებობს მდიდარი უკრაინული ლიტერატურა, არსებობს უკრაინული მეცნიერება და ხელოვნება, მათი ეროვნული ინდივიდუალობა მიჩნეული არ არის რუსეთის საზოგადოების ყველა წრეებში. დღესაც კი უკრაინელები იძულებული ჰხდებიან ებრძოლონ არა მარტო ეროვნულ განვითარების ხელის შემშლელ ობიექტიურ პირობებს, არამედ რუსეთის საზოგადოებაში განმტკიცებულ აზრს, რომ არავითარი განსაკუთრებული უკრაინული კულტურა არ არსებობს, დ ამიტომ არც საჭიროა რაიმე განსაკუთრებული გარანტიები უკრაინულ კულტურის განსავითარებლად. მიუხედავად ასეთი მტრული განწყობილებისა, უკრაინამ მაინც განავითარა თავისი განსაკუთრებული კულტურა დ მივიდა იმ შეგნებამდე, რომ ამ კულტურისთვის საჭიროა განსაკუთრებული პოლიტიკური გარანტიებიც. უკრაინულ კულტურის აღორძინებას ორის მხრიდან ებრძოდნენ. პოლონეთი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ უკრაინელები თანდათან მათი გავლენისაგან თავისუფლდებოდნენ, რუსეთის ბიუროკრატიაც თავის მხრით ებრძოდა უკრაინულ ეროვნების აღორძინებას. ცნობილია, მაგალითად, რომ 1863 წელს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვალუევმა აუკრძალა უკრაინულ ენაზე სამეცნიერო-პოპულიარულ და პედაგოგიურ წერილებისა და წიგნების ბეჭდვა. ვალუევი თავის ბრძანებას მხოლოდ იმით ასაბუთებდა, რომ „არავითარი მალოროსიული (უკრაინული) ენა არასოდეს არა ყოფილა, არც ეხლა არის და არც შემდეგში იქნება“. იმავე წელიწადს უწმ. სინოდმა აკრძალა სახარების უკრაინულ თარგმანის გამოცემა. უკრაინელთა აღორძინების ხანა სწორედ იმ დროიდან იწყება, როდესაც პოლონეთის 1863 წლის აჯანყება ჩააქრეს და რუსეთის მთავრობამ განსაკუთრებული ზომების მიღება დაიწყო. სწორედ მაშინ მოღვაწეობდა იმ დროინდელ რეაქციონერების მეთაური კატკოვი, რომელმაც, თავის წრესთან ერთად, სასტიკი კომპანია გამართა პოლონელებისა და საზოგადოდ ყველა ეგრედ წოდებულ „ინოროდცების“ წინააღმდეგ. კატკოვის წრემ უკრაინელებიც არ დასტოვა უყურადღებოდ და მათ წინააღმდეგაც მიიტანა იერიში. შავ-ბნელ რეაქციის სულის ჩამდგმელ კატკოვის წრეს, რა თქმა უნდა, გავლენა ექნებოდა მთავრობაზე, რომელმაც ბრძოლა უკრაინელებსაც დაუწყო. სწორედ ამ დროს ეკუთვნის ვალუევის განკარგულებანიც. ამ ხანიდან დევნა არ შეწყვეტილა. ხასიათი ამ დევნისა იმდენად ერთგვარია ყველგან და იმდენად ადვილად წარმოსადგენი, რომ შეგვიძლიან დიდხანს არ შევჩერდეთ მასზე. მეორის მხრით, უკრაინელებს, აღორძინების პირველ ხანებში, ბრძოლა უხდებოდათ ისეთს ელემენტებთან, რანაირიც პოლონელებია. 1862—1863 წლებში თითქმის მთელი პოლონეთი მიზნად ისახავდა პოლონეთის აღდგენას იმ საზღვრებში, რანაირშიაც იგი ოდესმე იყო. სამართლიანი იყო ეს პრეტენზიები, თუ უსამართლო, ამის გამორკვევას ეხლა არ შევუდგებით, მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ 1863 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, როდესაც სრულიად გაჰქრა ილიუზიები პოლონეთის აღდგენისა პირვანდელი სახით, ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში დაიბადა ახალი მიმართულება, როგორც პოლონიზმის რეაქცია. ეს მიმართულება, ეროვნულად განსხვავებული პოლონეთის მოძრაობისაგან, სოციალურადაც განსხვავებული იყო. მალოროსთა მოძრაობა ბუნებით **ხალხოსნური** იყო, დემოკრატიული და უპირისპირდებოდა არისტოკრატიულს, პოლონურს. ეს სხვათა შორის, იმითაც აიხსნება, რომ პოლონელები უმეტეს შემთხვევაში არისტოკრატი-მემამულეები იყვნენ, მალოროსები კი—მიწის მუშაკნი. თავის-თავად ცხადია, რომ „გლეხურ“ ნიადაგზე აღმოცენებული ეროვნული მიმართულება უსათუოდ დემოკრატიული და ხალხოსნური უნდა ყოფილიყო. დაიბადა წრეები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ხალხურ ლექსებისა და სიმღერების შეგროვებას, საზოგადოდ ეროვნულ ღირებულებათა შეგროვებასა და გაძლიერებას. ამ მოძრაობის სათავეში ჩადგა უკრაინელთა პოეტი ტარას შევჩენკო, რომელსაც დღეს მთელი უკრაინა განსაკუთრებულის სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს. პოლონელებისათვის ეს უკრაინულ-ხალხოსნური მოძრაობა პირველ ხანებში იმდენად მოულოდნელი და ამასთანავე ერთად არა სასურველი იყო, რომ ტარას შევჩენკოს, უკრაინელთა იდუმალ ზრახვათა საუკეთესო გამომხატველს, მტრულად დაჰხვდნენ, მედიდურად დაუწყეს ცქერა და მის შესახებ ჭორებიც კი შეთხზეს. მიუხედავად ამისა, ბოლოს პოლონელებიც იძულებული გაჰხდნენ ფაქტს შეჰრიგებოდნენ და ანგარიში გაეწიათ იმ გარემოებისათვის, რომ დაიბადა ახალი ეროვნული ინტერესი, დაიბადა უკრაინული ეროვნება.

უკრაინის აღორძინება შევჩენკოს პოეზიით არ განისაზღვრება. გაჩნდა პუბლიცისტიკა, დაიბადნენ უკრაინელი მეცნიერები, ამოძრავდა უკრაინული საზოგადოებრივი ცხოვრება. რასაც ტარას შევჩენკო თავის მშვენიერ პოეზიით აკეთებდა, ის კოსტომაროვმა, კულიშმა, დრაგომანოვმა და სხვებმა პუბლიცისტიკითა და მეცნიერებით გააკეთეს. იბრძოდა პოლონეთის არისტოკრატიაც. ბრძოლა იქამდის სასტიკი და ულმობელი იყო, რომ საქმე დაბეზღებამდის მიდიოდა. ფრიად საინტერესო პოლემიკა იყო გაჩაღებული იმ დროს პოლონურს და უკრაინულ ჟურნალ-გაზეთებს შორის, მაგრამ ყველა ამის დაწვრილებით აღნუსხვა ამ ჟამად მეტად მიგვაჩნია. პროპაგანდამ ნაყოფი გამოიღო და უკრაინული საზოგადოებრივი ცხოვრება აღორძინების გზას დაადგა. საერთო კულტურულ განვითარების გარდა, იზრდებოდა პოლიტიკური შეგნებაც. საინტერესო ის არის, რომ უკრაინელთა შორის იდეალები სოციალიზმისა და ფედერალიზმისა თავიდანვე დიდს გავლენას ახდენდა ფართო საზოგადოებაზე და ბევრს თანამგრძნობს ჰპოულობდა.

ამ მხრით ფრიად საინტერესო პიროვნებაა მ. პ. დრაგომანოვი, უკრაინის მწერალი, რომელსაც საერთო რუსულ კონსტიტუციონალიზმის განვითარებაშიაც ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის. განსაკუთრებული უკრაინული სულის-კვეთება დრაგომანოვს გაეღვიძა 1863 წლის პოლონეთის აჯანყების შემდეგ, რო-

---

*) (იხ. „სახ. გაზ.“ № 897.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტ. შინსკი და სტრუცკი. ერობების ეკონომიურ მდგომარეობის თვალსაზრისით წინაალმდეგნი არიან, რომ ერობებს კერძო სასწავლებელთა დაარსების უფლება მიენიჭოთ.

გურკო დაასკვნის კამათს პირველ მუხლის შესახებ და აღნიშნავს, რომ საჭიროა ერობათა და ქალაქების უფლებანი გაფართოვდეს, მით უმეტეს, რომ ერობებს სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ტყუილად ჰგონებენ პროექტის მოწინააღმდეგენი, რომ ერობები სასწავლებლის დაარსების შემდეგ ფულის და სუბსიდიების თხოვნას მიჰმართავენო. ასეთი თხოვნა სამარცხვინო და დასაგმობი არ არის, პირიქით საქებური და სამართლიანია. ეს იმის მოწმე იქნება, რომ ერობა ნაკისრს მოვალეობას პირნათლად ასრულებსო. მოლაპარაკე სთხოვს საბჭოს, ნუ დაუხშობს ერობებს თვითმოქმედების გზას.

კოვალევსკი იცავს კომისიის რედაქციას და მოითხოვს ერობების უფლებათა გაფართოვებას.

საბჭომ უარჰყო სტიშინსკის და მაკაროვის შესწორებანი და მიიღო პირველი მუხლი კომისიის რედაქციით.

ისკულმა შესწორება შეიტანა, კერძო სასწავლებელთა დაარსების უფლება მიენიჭოს არა მარტო ერობებს და ქალაქებს, არამედ კერძო პირთაც სქესის განურჩევლად. კამათი გამოიწვია მეხუთე მუხლმა, რომელიც კერძო სასწავლებელში ქალების და ვაჟების ერთად სწავლებას მოითხოვს.

მღ. ბუტკევიჩი იცავს გოლიცინ-მურავლინის შესწორებას, რომლითაც ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლება კერძო სასწავლებლებში უარყოფილია.

კოვალევსკი კომისიის რედაქციას იცავს. მოჰყავს მეცნიერთა აზრი, რომლითაც მტკიცდება ნაყოფიერება და სარგებლობა ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლებისა.

საბჭომ უარჰყო გოლიცინ-მურავლინის შესწორება და მეხუთე მუხლი კომისიის რედაქციით მიიღო. საბჭომ მიიღო აგრეთვე მეორე, მესამე და მეოთხე მუხლი.

შემდეგი სხდომა 21 მაისს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კანონ-პროექტი კავკასიის შესახებ.** ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ კავკასიის ნამესტნიკმა შეადგინა და სათათბიროს წარუდგინა კანონ-პროექტი, ადგილ-მამულების ახალ აღწერილობისა და შეფასების შესახებ, რათა უფრო სამართლიანად განაწილდეს საადგილ-მამულო გადასახადი. ამ ჟამად ეს კანონ-პროექტი სათათბიროს საფინანსო კომისიაშია, სადაც მომხსენებლად აურჩევიათ დეპ. ვ. გელოვანი. როგორც „კავკაზ"-ს ატყობინებენ დეპეშით, საფინანსო კომისიას, თანახმად გელოვანის მოხსენებისა, გადაუწყვეტია შემოდგომამდე გადასდოს ამ პროექტის სათათბიროსთვის წარდგენა. ვარლ. გელოვანის მოხსენება კანონ-პროექტის სრულ უარყოფას ურჩევს სახ. სათათბიროს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობა დღეს, დილის $11\frac{1}{2}$ საათზე, სახალხო სახლში ქართულს ენაზე ლექციას მართავს. წაიკითხავს აკაკი ტყემალაძე შემდეგს თემაზე: „ვინ ჰქმნის ისტორიას (პიროვნება თუ პირობები.)"

◆ **პოლიტეხნიკუმი.** საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა მეფის მოადგილის საბჭოს წევრი ტაინი სოვეტნიკი მ. პ. გაკკელი.

განჯის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებამ ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს აცნობა, რომ საზოგადოებამ პოლიტეხნიკუმისთვის 3,000 მან. გადასდო. ამ ფულს ნაწილ-ნაწილად გადაიხდის, წელიწადში 300 მან.

◆ **დიდის მთავრის ოლგა თეოდორეს ასულის ძეგლს** დასდგამენ სასახლის ქუჩაზე, კავკასიის მუზეუმის წინ. ძეგლი დაჯდება სულ 12,000 მან. 480 მ. დღემდე ხელის მოწერით არის შეკრებილი და 2,000 მ. ქალაქის თვითმართველობასა აქვს გადადებული. ძეგლის პროექტი დღემდე ოთხმა წარუდგინა საგანგებო კომისიას: ბ-ნმა ნიკოლაძემ, ხოდოროვიჩმა, მიხაელიანცმა და ანდრიოლეტიმ (ორი პროექტი). პროექტების განსახილველად საგანგებო კომისიის კრება 23 მაისისთვის არის დანიშნული.

◆ **საბირჟო ცნობები.** 18 მაისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 85 კ., აძლევენ—85 მ. 45 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 65 კ., აძლევენ—83 მ. 40 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან., 75 კ., აძლევენ—79 მან. 40 კ.

◆ **ქალაქის გამგეობის** 1912 წ. საფინანსო ანგარიში შეადგინეს და დასაბეჭდად მისცეს.

◆ **ქალაქის 1914 წლის ხარჯთაღრიცხვაში** ქალაქის გამგეობამ შეიტანა: 12,000 მან. ლოტკის გორის ხევზე ხიდის გასაკეთებლად და—10,000 მან. მეჟევოი ქუჩაზე წყლის არხის შესაკეთებლად.

◆ დღეს, 19 მაისს, ქართულ თეატრის დარბაზში, **შალვა ალ. ქარუმიძე** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „რომის ბატონობა და განმანთავისუფლებელი მოძრაობა რომსა და პროვინციებში". ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

◆ ნიხრზე ძვირად ხორცის გაყიდვისთვის სამართალში მისცეს გრიგოლ პოპოვი.

◆ 17 მაისს მარიამ გრიგოლის ასულმა ჩიქოვანმა საწამლავი დალია; მიხეილის საავადმყოფოში დახმარება აღმოუჩინეს.

◆ **ბოროტ-მოქმედებანი.** წარსულ აპრილის განმავლობაში ტფილისში 106 ბოროტ-მოქმედება მომხდარა, რომლის გამო ბოროტ-მოქმედების ადგილას შეუპყრიათ 88 კაცი.

◆ 17 მაისს, ღამით, თავად-აზნაურთა ქარვასლაში ვიღაც უცნობებმა **გაჰქურდეს თერძის ი. საფაროვის მაღაზია.** წაიღეს 83 მან. ფულად და 500 მან. საქონელი. ექვით ორი კაცი შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 20 მაისისთვის არის დანიშნული 24 საქმის განსახილველად.

◆ **ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების** მომწვევ კომიტეტის კრება 17 მაისს მოხდა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველ ნ. ფ. რუდოლფის თავმჯდომარეობით. კომიტეტმა დაახლოვებით გაანაწილა მომავალ კრების სამუშაო, ხოლო სამუშაოს განაწილების დაწვრილებით პროექტის შედგენა საგანგებო კომისიას მიანდო. ამის შემდეგ კომიტეტმა საბოლოოდ მოიწონა ის აზრი, რომ მომავალ კრებასთან გამოფენებიც გაიმართოს.

◆ **ფრებელის სახელობის საზოგადოებას** განზრახვა აქვს, ტფილისში კურსები მოაწყოს. საზოგადოების თავმჯდომარემ ქნ. დადეშქელიანისამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რათა 2,000 მან. გადასდოს კურსებისათვის.

◆ რამდენიმე კაცის თაოსნობით ტფილისში არსდება ახალი საზოგადოება **„ტფილისის ქართული სამუსიკო საზოგადოება"**, რომლის მიზანიც არის როგორც ქართულისა, ისე საზოგადო მუსიკის შესწავლა დ გავრცელება. საზოგადოების წესდება შედგენილია ამ დღეებში გუბერნატორს დასამტკიცებლად წარედგინება.

სასწავლებლებში

◆ **მცხეთის სამთავრო დედათ მონასტრის საქალებო სკოლაში** მომავალ სამოსწავლო წლიდან ორი სტიპენდია არსდება, ამ სკოლის დამაარსებლის, აწ განსვენებულ იგუმენია ნინოს (კნ. ამილახვრის) სახელობისა.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ყიზლიარისა და ნახიჩევანის ქალაქის თვითმართველობებს აცნობა, რომ მოკლე ხანში ამ ქალაქებში განზრახულია მთავრობის **პროგიმნაზიების** დაარსება. ამის გამო მზრუნველი ურჩევს პროგიმნაზიის დაარსებამდე დაარსონ კერძო სასწავლებლები, საიდანაც მოსწავლეებს ახლად გახსნილ პროგიმნაზიებში გამოუცდელად მიიღებენ.

დღიური

ეროვნული გმირი.

ცხოვრება გმირის ქმნილებაა. რაც კი დიადია ჩვენს ცხოვრებაში, სამარადისო, საყვარელი და მიმზიდველი, გმირის შექმნილია; გმირი ამშვენიერებს ქვეყანას, გმირმა აღმართა სამყარო წყვდიადიდან, შთაბერა სული აღმოცენებისა, მიანიჭა გონიერება; გმირია, რომ მიჰყავს კაცობრიობა ღვთაებისაკენ, აერთებს ცასა და დედამიწას, მით მეტყველობს უკვდავება, მისი ხმა არის სიმღერა, მისი ჰანგია მუსიკა, გმირისთვის გალობენ, გმირასთვის შეირხევიან სიმები, გმირის კვეთების გამოსახავს მხატვარი.

ცხოვრება მაშინაა სინამდვილე, როდესაც იგი გმირის სულში აღიბეჭდება, ტანჯვა და სიხარული მაშინ არსებობს, როცა გმირის გული გამოსთქვამს ამას; ხილული მაშინაა ხილული, როცა მას გმირი ხედავს, თქმული მაშინაა გაგონილი, როცა გმირს ესმის. სიტყვა არაა სიტყვა არაგმირისა, არა ჰკვეთს ხრმალი უბრალო მომაკვდავისა, არაა შემომქმედი ძალა არა—შარავანდედით შემკობილისა. ადამიანები ცხოვრობენ შეუგნებლად, უხილავად, ფარულად სადღაც ბნელ სამეფოში, რათა კვნესით, ვაებით, ბრძოლით წარმოშვან გმირი, რომელიც ვით მოსე გამოიყვანს მათ უდაბნოდან, ვით იესო აღადგენს მკვდრეთით. ჩვენ ვცხოვრობთ არა ცხოვრებით, არამედ ცხოვრებისათვის, რომელსაც მხოლოდ გმირი მოგვივლენს. ჩვენ ვცხოვრობთ, რათა ვშობოთ ჩვენი მშობელი—ესაა გზა ჩვენის არსებობისა.

არ არის აზრი, არ არის გრძნობა, არ არის მისწრაფება, სანამ არ გახურებულა გმირის გულში, არ გამოდნობილა გმირის ბრძმედში, არ გამოჭედილა გმირის სულში, არ განწმენდილა გმირის სიწმინდით, არ შობილა მისის სიცოცხლით. ყოველივე მარტო ნასახია, ლანდია, აჩრდილი, ვიდრე არ მივა გმირთან და მით არ ეზიარება და არ იქცევა ყოფნად. ასეა არა მხოლოდ გონების სამფლობელოში, თვით სხეულიც, ტლანქი ბუნება არარაია, თუ გმირის არსებამ არა ჰქმნა იგი სინამდვილედ—არ შეახო ხელი სიცოცხლის მომნიჭებელი, არ აუხილა თვალები, არ აამოძრავა სისხლი მისი და არ მისცა მეტყველება მის ენას.

პოეტმა—ქართველების მესაიდუმლემ სთქვა:

> გმირებს დაეძებს, უყვირის
> ჩემი ბუკი და ნაღარი!

ეს ჩვენი—არა აწმყოსი, არამედ ყოფადის უღრმესი, უნაზესი, და უდიდესი, სულის ძახილია. იგი შორიდან, უფსკრულიდან, ქვეყნის ძირიდან ჰკივის და გმირებს დაეძებს, ეძახის. მას სწყურია სტიქიურად არსებობა, უნდა ამოსვლა, ცხოვრება, მაგრამ გზა შეკრულია, კარი დაკეტილია, აღარსად არის ჰაერი სუნთქვისთვის. უნდა იშვეს, თავი დააღწიოს არყოფნას, მაგრამ არ არის მშობელი; და მოუწოდებს ძლიერს გმირს, მის მეტყველს, მის გამომსახველს, მის მომავლინებელს, მის—დღეს არარაის—არსებად მქნელს. სად არის, სად არის გმირი? გმირი დიდი?

საქართველო დღეს არ არსებობს; ქართველი ერი მხოლოდ ფიქრია, ქართული ეროვნული იდეა, მისწრაფება ჯერ არც ჩასახულა, რადგან მას დღემდის არ მოვლენია თავისი მძლავრი გმირი. დღევანდელ საქართველოში არ შობილა გმირი—საქართველო არ არსებობს დღეს; ჩვენს ეროვნულსმისწრაფებას არა ჰყავს გმირი, გენიოსი. ცხადია, ეს მისწრაფება მარტო ლანდია; არ არის სინამდვილე ეროვნული გრძნობა, მამულიშვილობა, რადგან ჯერ არსადაა მამულიშვილი გმირი, გენიოსის ნიჭით მოსილი, რომელსაც გული დაეწვოდეს დამონებულის ერის ტანჯვითა, ვისი სული დაიტევდეს აოხრებულის, კრულის სამშობლოს სიყვარულს, ვინც ღიმილით შეხვდებოდეს წამების გვირგვინს თავისუფლების მოპოვებისათვის! მთელი საუკუნე საქართველოში არ შობილა დიდი გმირი მამულიშვილი და განა შეიძლება ვილაპარაკოთ მამულისა, ეროვნებისათვის?

სად არის ქართველი ერი? არსად. სად არის ჩვენი სამშობლო? არსად. სად არის ეროვნული იდეა? არსად. ერთი, მეორეც, მესამეც მხოლოდ და მხოლოდ მომავალია, ფიქრია, ოცნება. და მოუწოდოთ ჩვენც გმირებს, ვვაებდეთ, ვბრძოდეთ მძლავრ გმირებისათვის, რათა მოგვივლინონ სამშობლო, ერი, მოგვივლინონ ყველაზე უწინარეს სული ეროვნული მისწრაფებისა! წყურვილი ეროვნული არსებობისა! სურვილი შობისა!..

სიტყვა.

დესაც ახლო ჩაუკვირდა პოლონეთის ცხოვრებას და დაინახა, რომ დასავლეთ-სამხრეთის პოლონელები უმეტეს ნაწილად არისტოკრატები არიან, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ხალხსა და ხალხის ინტერესებთან. ამიტომ მას სრულიად ბუნებრივად სამართლიანად არ მიაჩნდა პოლონელთა არისტოკრატიის პრეტენზიები და ვერ ურიგდებოდა იმ პოლონელებს, რომლებიც ამბობდნენ, ჩვენ უფლება გვაქვს დავეპატრონოთ უკრაინას, ვინაიდან არისტოკრატია და ინტელიგენცია იქ უკრაინულიაო. ასეთი პრეტენზიები დრაგომანოვს სამართლიანად არ მიაჩნდა და, შესაძლებელია, სწორედ ამ გარემოებამ, ერთის მხრით, და ბუნებრივმა დემოკრატიულმა სულიერმა განწყობილებამ, მეორის მხრით, იგი დაუახლოვა უკრაინას, როგორც მშობელ მხარეს. უკრაინელი სტუდენტები ჯერ ისევ 1859 წლიდან აარსებდნენ კიევში წრეებსა და ჯგუფებს. მართალია ამნაირად შეკავშირებული უკრაინელი სტუდენტობა მცირე რიცხოვანი იყო, მაგრამ მაინც მათი მნიშვნელობა უკრაინელთა ეროვნულ გათვითცნობიერების საქმეში ძალიან დიდია. ამ წრეების წევრები სცდილობდნენ უკრაინულ ენისა და ლიტერატურის განვითარებას, ავრცელებდნენ იმ აზრს, რომ შემდეგში უკრაინელთა ერმა სრულიად დამოუკიდებელი სახე უნდა მიიღოს. როგორც ამ სტუდენტების მუშაობა, ისე იმ დროინდელ ინტელიგენციისა უმეტეს ნაწილად პრაქტიკული იყო. მთელი ინტერესი ენისა დ საზოგადოდ კულტურის გარშემო სტრიალებდა. პრაქტიკულ საქმიანობით გართულნი ვეღარ უკვირდებოდნენ საერთო საკაცობრიო საკითხებს და ამიტომ მთელი მათი მოღვაწეობა ვიწრო გამოდიოდა, შეზღუდული, იგი პოლიტიკური იდეალით არ იყო გაშუქებული. მეორის მხრით, როგორც ყველგან, ისე აქაც პირველი გამოღვიძება მოუსვენარი და შფოთიანი იყო. იგი იყო ძახილი ახალ შობილისა, ყვირილი მშობიარე ავადმყოფისა, რომლის ავადმყოფობაშიაც თქვენა ჰხედავთ არა საბედისწერო დასასრულს, არამედ ახალი ცხოვრების დასაწყისის წინამორბედს. იმ დროინდელი უკრაინული ახალგაზრდობა ღრმა მძულვარებით იყო აღჭურვილი პოლონელებსა და რუსებისადმი. სამშობლოს ბედით დაინტერესებულნი, დიდმნიშვნელოვან პრაქტიკულ მუშაობაში გართულნი, ისინი პირისპირ უდგებოდნენ პოლონურსა და რუსულ კულტურას, სწორედ კულტურას და არა ხეპრულ სახელმწიფოებრივ ძალას, და რამდენადაც მეტად ჰგრძნობდნენ ამ კულტურის უპირატესობას, იმდენად მეტად ეღვიძებოდათ წყურვილი ეროვნული აღორძინებისა და სიძულვილი რუსულსა და პოლონურ კულტურისადმი.

ეს იყო სტიქიური, ბუნებრივი აღფრთოვანება. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არა კმაროდა. ეროვნული მოძრაობა განსაზღვრულ ფორმებში უნდა ჩამოყალიბებულიყო, პრაქტიკული მუშაობა უსათუოდ უნდა გაშუქებულიყო პოლიტიკური იდეალით, რომელიც უკრაინელ ეროვნულ მისწრაფებას საერთო-საკაცობრიო იდეალებს შეუფარდებდა და შეუთანხმებდა.

აი სწორედ ეს იკისრა დრაგომანოვმა. იგი ძალიან დაახლოვებული იყო რუსის მაშინდელ მოწინავე საზოგადოებასთან, რწმენითა და მიმართულებით რადიკალი და უკიდურესი დემოკრატი იყო. იგი ნაციონალისტური სულისკვეთებით არ იყო გატაცებული, მაგრამ ეროვნულ საკითხს მაინც ძალიან დიდს ყურადღებას აქცევდა და უკრაინულ ეროვნულ აღორძინებასაც თანაუგრძნობდა. დრაგომანოვი სოციალისტი იყო. როგორც სოციალისტს, რა თქმა უნდა, ვერ შეეძლო უკრაინელთა საკითხი საერთო საკაცობრიო საკითხთა დამოუკიდებლად გადაეწყვიტა და პირველი მეორეთა თვალსაზრისით არ განეხილა. ეხლა რომ ეცნობი იმის ნაწერებს, გიკვირს, რაოდენი შორს მჭვრეტელობა გამოუჩენია მას და როგორის წინასწარმეტყველურის ნიჭით ყოფილა დაჯილდოვებული.

უპირველესად ყოვლისა კერძოდ უკრაინელებისთვის მას საჭიროდ მიაჩნდა კულტურული აღორძინება და მუშაობა ეროვნული სახის შესანარჩუნებლად. სოციალიზმის ნაყოფიერი პროპაგანდა მას შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ ეროვნულ ფარგლებში. მაგრამ დრაგომანოვი ამით არა კმაყოფილდება. მისის წარმოდგენით, ცარიელი დეკლარაცია ეროვნებათა უფლებებისა საკმარისი არ იყო. საჭირო იყო რაიმე რეალური გარანტიები, და ამ გარანტიებად კი მას ფედერალიზმი და დეცენტრალიზმი მიაჩნდა. იგი ამასთანავე ერთად დარწმუნებული იყო, რომ ფედერალისტური მოძღვრება თან და თან გაიზრდება და მთელი რუსეთის საკუთრებად გადაიქცევა. „ადრე თუ გვიან,—ამბობს დრაგომანოვი,—უკრაინელთა სოციალისტ-ფედერალისტებს უკან გაჰყვება არა მარტო უკრაინელთა ხალხი, რომელიც დღესვე 20 მილიონს აღემატება, არამედ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიები: ესტონთა, ლატიშებისა, ლიტველებისა, ბელორუსებისა, სლოვაკთა, რუმინელებისა, კავკასიელებისა, ებრაელებისა და აგრეთვე სახელმწიფოებრივ ნაციონალიზმისაგან განკურნებულ რუსთა, პოლონელთა, გერმანელთა და უნგრელებისა. ზოგიერთი ნიშნები ამ ბრწყინვალე მომავლისა ეხლავე სჩანს".

ამ რიგად, დრაგომანოვი დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან სოციალისტური მოძრაობა უნდა დაბადებულიყო ყველგან, სადაც ერები გათვითცნობიერდებოდნენ და ეროვნულ ინდივიდუალობის დაცვას მოისურვებდნენ. დრაგომანოვის პროგრამა იყო პოლიტიკური ჩარჩო, რომელშიაც უნდა მოქცეულიყო ეროვნული და ამასთანავე ერთად სოციალისტური მოძრაობა უკრაინელებისა. რა თქმა უნდა, დრაგომანოვის დროს ფედერალიზმის იდეების შეთვისება უფრო ძნელი იყო, და მას არ ასცდა საყვედურები. უსაყვედურებდა სხვათა შორის, ლავროვის ორგანო „ვპერიოდ"-იც, აბრალებდა ნაციონალისტური აზრების გავრცელებას. დრაგომანოვი უპასუხებდა ლავროვის ორგანოს. ამ პასუხს ეხლაც კი არა აქვს დაკარგული ცხოველმყოფელობა: „ნაციონალისტებად ჩვენ მხოლოდ ის ჩაგვთვალის,—ამბობდა დრაგომანოვი,—ვინც ვერას გზით ვერ შეჰრიგებია იმ აზრს, რომ არის ხალხი, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია ლაპარაკი ისეთ ერებზე, რომელთა შესახებაც კრინტსაც არა სძრავს სახელმწიფოებრივი და გაბატონებული სკოლა. არ აგონდებათ „ნაციონალიზმი", როდესაც ლაპარაკობენ გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ და კიდევ რაღაც „სრულიად რუსეთის" სოციალისტურ პარტიაზე, მაგრამ მოაგონდებათ ხოლმე იგი ყოველთვის, როდესაც კი საქმე შეეხება არა სახელმწიფოებრივ ერებზე".

დრაგომანოვი უმთავრესს ყურადღებას ფედერალისტურ პრინციპებს აქცევდა. როგორ ფორმებში უნდა ჩამოყალიბებულიყო კერძოდ უკრაინელთა პოლიტიკური ცხოვრება, ამის საბოლოო პასუხი დრაგომანოვს არ მიუცია. მაგრამ ფედერალისტურ პრინციპების ქადაგებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ დეცენტრალისტური და ეროვნული მოძრაობა განვითარდა და უკრაინელთა კერძო საკითხიც გადასწყვიტა. დღეს უკრაინის პარტიები ერთხმად მოითხოვენ უკრაინისთვის ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას. „უკრაინელთა რადიკალური პარტია", „უკრაინელთა რადიკალურ-დემოკრატიული პარტია", „უკრაინელთა სოციალ-დემოკრატიული პარტია",—ყველა პარტიები მოითხოვენ უკრაინის ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას.

—

ამით შევეძლო დაგვესრულებინა ისტორიული მიმოხილვა ეროვნული მოძრაობისა. იგი, რასაკვირველია, სრული არ არის და სავსებით არ გამოჰხატავს სიძლიერეს მოძრაობისას, რომელიც თვითოეულ ერში სწარმოებს. მაგრამ ეს ზედაპირული მიმოხილვაც კი გვიმტკიცებს, რომ რუსეთში მცხოვრებ პატარა ერებში თანდათან ძლიერდება ეროვნული მოძრაობა და ამასთანავე ერთად გარკვეულ პოლიტიკურ სახეს იღებს. შევეძლო სურათის სისრულისთვის საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიული მიმოხილვაც მოგვეყვანა, მაგრამ ეს საკითხი თავისთავადაც იმდენად დიდია, რომ დამოუკიდებელი შრომის დაწერაა საჭირო. ქართული ეროვნული მოძრაობის დაწერა თითქმის მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის დაწერა იქნებოდა, და ამას კი ამ ჟამად ვერ ვიკისრებთ. სქემატიურად კი რომ წარმოვიდგინოთ ეს ისტორია, დავინახავთ, რომ საქართველოსაც ჰქონდა ხანა პოლიტიკურ რომანტიზმისა, აჯანყებებისა, ჰქონდა ხანა ეროვნული პოლიტიკის მინელებისა; იყვნენ ჩვენში საქართველოს განსაკუთრებულ პოლიტიკურ იდეალის უარისმყოფელნი და არიან წინააღმდეგ აზრის დამცველნიც.

ამ ჟამად ჩვენ იმ ხანას განვიცდით, როდესაც ძლეულ იქმნა ეროვნულ-პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, და საზოგადოებრივი აზრიც ამოძრავდა ეროვნულისა და სოციალური სამართლიანობის შესათანხმებელ ფორმულის გამოსაძებნად.

არ. ჯ—შვილი.

თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

(14 მაისის კრების გაგრძელება*)

გ. ოცხილაძე. ნუ სწუხდებით, ბატონებო, ეგ მე არ მიშლის! მე-37-ე მუხლი წესდებისა წესებს აჰყარებს მხოლოდ გზის გაკეთების დროს, როდესაც პატრონად თავად-აზნაურობა კი არა, რუსეთ-აზიის ბანკია. ექსპლოატაციის დროს პატრონის ძიერ მფლობელობა აღნიშნულია მე-32-ე მუხლში. მართალია ეს მუხლი გზის ფლობელობის შესახებ არა ჰქმნის ახალ სახელმწიფოს რუსეთის სახელმწიფოში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პატრონის უფლებათა სისრულე საკმაოდ უზრუნველყოფილია. მართალია ისიც, რომ რკინის გზის გამგე მთავრობის უფლებით მტკიცდება, მაგრამ მხოლოდ გამგეობის წარდგენით, ამ გამგეობას კი საზოგადოება ირჩევს. გამგის ხელშია ზოგიერთი განკარგულებათა უფლება, მაგრამ ყველა უფლებები ხომ ისევ გამგეობის ხელშია. თუ კი ა. ყანჩელის თვალსაზრისით მიუდგებით საქმეს, მაშინ ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ ჩვენს წოდებრივ დაწესებულებაზე, ქალაქის თვითმართველობაზე და სხვა, რადგან გუბერნიის წინამძღოლსაც და ქალაქის თვითმართველობაში არჩეულთაც მთავრობა ამტკიცებს. რაიცა შეეხება კონტროლს, რომელიც დაწესებული იქნება გზაზე, მისგან არავითარი საშიში არ მოგველის. გზა საყოველთაო სარგებლობისათვის შენდება, სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს ობლიგაციონერების წინაშე. არ შეიძლება ისეთი გზის აშენება, რომელიც მგზავრებს ხრამში გადასჩეხავს. სწორედ ამისათვის წესდება მთავრობის კონტროლი. გუშინ წინ თავად. ბარათაშვილმა საკულტურო დაწესებულებათა ინტერესები დაუპირდაპირა კახეთის რკინის გზას. ვერ წარმომიდგენია ასეთი დაპირდაპირება. რა არის რკინის გზა? ბარბაროსულია, თუ? რითია იგი უკულტურო დაწესებულება? ამ ნიადაგზე ხდება მუდმივი ბრძოლა კრებისა, რისთვის უნდა აუაროთ გვერდი რკინის გზას, როგორც ისეთს რაღაცას, რომელიც კულტურას ეწინააღმდეგება. ძნელი განსასაზღვრავია, სად იწყება სულიერ კულტურის შესახებ ზრუნვა და სად თავდება ზრუნვა მატერიალურ კულტურაზე. ჩვენი ცხოვრების ორივე ეს მხარე მუდმივ ურთიერთ დამოკიდებულებაშია.

გთხოვთ ყურადღება შემდეგ გარემოებას მიაქციოთ: იმ ანკეტას ცნობების მიხედვით, რომლის შეკრება მოსწავლე ახალგაზრდათა შორის პეტერბურგში მოაწყვეს, გამოირკვა, რომ ყოველწლივ უმაღლეს სასწავლებლებს 500 მდე ქართველი ახალგაზრდა ათავებს. მე 13 წელიწადია ტფილისში ვცხოვრობ და ამ ხნის განმავლობაში ხუთასი ახალი პირი ჩვენ შორის არ მინახავს, ამ რიგად ჩვენი ინტელიგენტი ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ჩვენთვის დაკარგულია, ისინი სამსახურში არიან სამშობლოს გარეშე. კახეთის რკინის გზა ერთი იმ ფაქტორთაგანი იქნება, რომელიც შესძლებს ახალგაზრდობის გარკვეულ კონტინგენტს უზრუნველყოს სამშობლოში სამუშაოს პოვნა. ნუ თუ ეს კულტურული საქმე არ არის? უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში არა ყოფილა დღევანდელისთანა დიდმნიშვნელოვანი მომენტი, როდესაც თავად-აზნაურობას საშუალება ეძლევა კახეთის რკინის გზის პატრონი გახდეს. ნუ თუ ჩვენ ამ მომენტს ხელიდან გაუშვებთ? ამიტომ ყველასა ვსთხოვ თავიდან მოიშოროს პირადი განწყობილება ან სიძულვილი, რომელიც შეიძლება ხელს უშლის მომენტის ნამდვილ შეფასებას, და შეერთებული ძალით დაეხმაროთ საქმეს. ნუ იქნება ამ საქმეში პირადი გრძნობა, იყოს მხოლოდ საქმე და მისდამი ინტერესი.

თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. სპეციალისტები და იურისტები ამბობენ, თავად-აზნაურობა ვალდებულია ხელშეკრულება მიიღოსო. თუ ეს ასეა, მაშინ რიღასთვის მოგვიწვევს. დ. გურამიშვილს არა ჰქონდა უფლება ხელშეკრულება დაედო. გვიმტკიცებენ, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ ხელშეკრულობა მივიღოთ, მაგრამ ამ საკითხს ვერც დღეს და ვერც ხვალ ვერ გადავსწყვეტთ, რადგან იგი ფრიად რთულია. ჩვენთვის საჭიროა მოვისაზროთ ყველა მოხსენებული და თქმული. მე გულმოდგინედ წავიკითხე თქვენი მოხსენება, მაგრამ პასუხის გაცემა ეგრე ჩქარა არ შემიძლიან. მე მგონია, საჭიროა თქვენი მოხსენებაც და აქ გამოთქმული აზრიც, რომელიც ძლიერ სერიოზულია და დიდ ინტერესსაც წარმოადგენს, ცალკე დაიბეჭდოს და წინდაწინ დაგვირიგდეს ყველა ჩვენ-

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 897.

განს, ერთი თვით წინ მაინც,—რათა შეძლება გვქონდეს დაწვრილებით გავეცნოთ და მოვიფიქროთ იგი.

თავმჯდომარე. საქმის ყველა გარემოება კრების უმეტესობამ კარგად იცის, რადგან ისინი დღეს არ ეცნობიან საკითხს. ეს საქმე რამდენიმე წელიწადია წამოყენებულია და არა ერთხელ ყოფილა მის შესახებ სჯა-ბაასი. ამიტომ თქვენი წინადადების მიღება შეუძლებელია.

(შემდეგი იქნება)

აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

ორგანიზაცია ერის ძალებისა არის უტყუარი ფარხმალი და გარანტია მისის არსებობა-განვითარებისა.

◆

როდესაც ერს განსაცდელი მოელის, როდესაც იგი სიკვდილის პირზე სდგას, უპირველესი მოვალეობა ამ განსაცდელის თავიდან მოშორება და სიკვდილიდან თავის დაღწევაა. კლასიური ბრძოლის ხასიათმა, მიმდინარეობამ და ზრდა-ვითარება ამ პირობებს უნდა გაუწიოს ანგარიში.

მოწერილი ამბები

ოდესა. საქალაქო არჩევნების საქმე გართულდა. გაზეთებიდან გეცნოდინებათ, რომ ოდესაში არჩევნებში სამი ჯგუფი იბრძოდა: ორი ჭეშმარიტ რუსთა გაყოფილი ჯგუფი და მესამე პროგრესისტებისა. ჭეშმარიტების ორ ჯგუფად გაყოფვამ პროგრესისტების გამარჯვება გამოიწვია. 1,500 ხმიდან (არჩევნების წესი პირდაპირია), პროგრესისტებმა 580 ხმა მიიღეს, ქალაქის ძველი თავის მოისეევის მომხრეთ 510—540 და ცნობილ პელიკანის მომხრეთ 405.

არჩევნები მემარჯვენების განსაჩივრებით გააუქმეს. მეორეჯერ არჩევნებისთვის მემარჯვენეები შეთანხმდნენ, ასე რომ ეხლა მათ 915—945 ხმა აქვთ წინააღმდეგ პროგრესისტების 580-ისა.

ქართული გიმნაზიის მშობელთა წრე

ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან დაარსდა მშობელთა წრე და შეუდგა მოქმედებას ამ 1913 წლის დამდეგიდან. წრეს მიზნადა აქვს შეათანხმოს, სამოქმედოდ შეაკავშიროს, სასწავლებელი და ოჯახი, რომ მათ შეერთებულის ძალით სასურველად წარმართონ სწავლა-აღზრდის საქმე, ხსენებულ სასწავლებელში. წრის ეს სიმპატიური დანიშნულება მით უფრო პატივსადებია, რომ ხსენებული სასწავლებლის მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა სოფლიდან არის მოსული და მოკლებული დედ-მამის პირდაპირ მზრუნველობას; თანაც ღარიბია, ძლიერ უჭირს მახლობელი გულშემატკივარი. წრემ გაითვალისწინა თვისი მოვალეობა, უკვე შეიდგინა მოქმედების გეგმა და შეუდგა მის განხორციელებას. რასაკვირველია, იგი გეგმა გაფართოვდება და უფრო მიზანშეწონილი შეიქნება, როცა მშობელთა წრე უფრო ახლო გაიცნობს და შეისწავლის სასწავლებლის თუ მოსწავლეთა ცხოვრებას, მაგრამ სწამს, რომ მისი მოქმედება ეხლაც ნაყოფიერი იქნება და სასარგებლო მოსწავლეთათვის. ეს არის მიზეზი, რომ მშობელთა ხსენებული წრე ჰბედავს მიჰმართოს გულშემატკივართ და სთხოვოს დახმარება ამოუჩინოს მას ზნეობრივი თუ ნივთიერი. წრე ვალდებულადა სთვლის თავის თავს ყოველ წლივ ჩააბაროს ფართო საზოგადოებას თავისი მოქმედების ანგარიში.

ბალკანეთი და სახელმწიფოები

ზავის მოლოდინში.

სერბიისა და საბერძნეთის მთავრობებმა დაუთმეს დიდ სახელმწიფოთა სურვილს ზავის მალე შეკვრის შესახებ და ტელეგრაფით აცნობეს თავის წარმომადგენლებს, მოაწერონ ხელი ზავის წინასწარ პირობებს. სახელმწიფოები დასთანხმდნენ სერბიისა და საბერძნეთის მოთხოვნილებათა პირობებში შეტანას, მხოლოდ იმ პირობით კი, თუ ამ დამატებას სავალდებულო ხასიათი არ ექნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბულგარეთი იმუქრება, რომ კვრძოდ შეეკვრება ზავით ოსმალეთსა.

მოკავშირეთა უთანხმოება.

ხმებია, კავალის ნავთსადგურში ბულგარელებმა სროლით დალუპეს საბერძნეთის ერთი ნაღმოსანი. საბერძნეთის ელჩმა სთხოვა ბულგარეთის პირველ-მინისტრს, რათა მან შეაჩერებინოს ჯარის გადაყვან-გადმოყვანა მაკედონიაში. გეშოვმა აღუთქვა ღონისძიების მიღება. სერბიაში შესწყდა მგზავრთა მატარებლების მიმოსვლა, ჯარის მოძრაობის გამო. მთელს ქვეყანაში დიდი მღელვარებაა ბულგარეთის წინააღმდეგ.

შუამდგომლობა შესაძლოა.

სერბიის პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ ბულგარეთი დაბეჯითებით მოითხოვს სერბია-ბულგარეთის შორის დადებულ ხელშეკრულობის სასტიკად დაცვას. თუმცა მდგომარეობა მეტად გამწვავებულია, მაგრამ სერბიას იმედი აქვს, რომ რუსეთი გავლენას იქონიებს ბულგარეთზე. დანამდვილებით ამბობენ, რომ ბულგარეთმა დიდ სახელმწიფოებს ნოტა დაუგზავნა, რომლითაც იგი სერბია-ბულგარეთის დავის გადაწყვეტას ევროპის სახელმწიფოებს ანდობს.

საბერძნეთი და ოსმალეთი.

ოსმალეთმა შეატყობინა დიდ სახელმწიფოებს, რომ იგი უეჭველად განაგრძობს ომს საბერძნეთის წინააღმდეგ, თუ ეს უკანასკნელი მიისაკუთრებს დარდანელისა ან მცირე აზიის მახლობლად მდებარე რომელიმე კუნძულს.

ალბანელები და ჩერნოგორია

მალისორებმა წინადადება მისცეს ჩერნოგორიის მეფეს, რათა მან გაიყვანოს ჯარი ყველა დაპყრობილი ადგილებიდან, რომელნიც კი ალბანეთს საზღვრავენ ჩრდილოეთით, წინააღმდეგ შემთხვევაში აჯანყებას იმუქრებიან.

იტალიის ფლოტი.

იტალიის მთავრობამ მეწამულ ზღვაში გაგზავნა ხმელთაშუა ზღვის ესკადრა იტალიელებისა და მათი ინტერესების დასაცავად.

თეატრი და ხელოვნება

დღეს, 19 მაისს სახალხო სახლში, **პოეტ ვ. რუხაძის** [illegible] გაიმართება **სალიტერატურო-სამუსიკო დილა** გრ. ნათაძე წაიკითხავს ლექციას: „თანამედროვე სიმბოლიზმი“. თავიანთ ნაწარმოებს წაიკითხავენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები. იმღერებენ ძმ. კავსაძენი, ლორთქიფანიძე და საეროვნო ტანისამოსში გამოწყობილი გურულები, თარზე დაუკრავს საღირაშვილი და ბოლოს სცენებს წაიკითხავს იორდანიშვილი.

დეპეშები

დეპეშათა პეტერბ. სააგენტო

17 მაისი.

უცხოეთი.

ათინა. დღეს ბერძენ-ბულგართა შეტაკება არ მომხდარა. ბულგარებმა ოთხჯერ ესროლეს ზარბაზანი ელეფტერის სიმაგრეებს, ზარალი არ მიუყენებიათ. ელეფტერის წინ რამდენიმე ბერძენთა კრეისერი დადის. ბულგარეთის გენერალური შტაბი უარს არის სანეიტრალო საზღვარი დასდოს. მაინც შეთანხმების იმედი აქვთ.

პარიზი. სენატმა 234 მილ. ფრანკის ხარჯი მიიღო ჯარის კაცთა 3 წლის ზევით სამსახურისთვის.

სტამბოლი. ოსმალეთის დელეგატი ნაზიმ-ფაშა დეპეშით იტყობინება, 17 მაისს სამშვიდობო კონფერენციის სხდომა მოხდებაო.

ცეტინიე. ჩერნოგორიამ საღამოს ლონდონის დელეგატს მისწერა ხელშეკრულებას ხელი მოაწერონ.

სოფია. მთავრობამ დანევს შეუთვალა, ხელშეკრულების დადების შემდეგ სოფიაში დაბრუნდეს. დაიბარეს აგრეთვე პარიზში მყოფი ფინანსთა მინისტრი ტოდოროვი.

ლონდონი. რეიტერის ცნობით, გრეიმ დელეგატები სენ-ჯემის სასახლეში მიიწვია. დაჰპირდა თვითონაც დაესწროს.

ბრესლავლი. საერთო კრებაზე უმუშევარ მუშებმა გადასწყვიტეს ითხოვონ 50,000 მარკა (23,000 მან.) გაჭირვების თავიდან ასაცილებლად. შემდეგ რატუშის წინ დიდი დემონსტრაცია მოახდინეს. ხალხის გაფანტვის დროს, პოლიციას რამდენჯერმე ესროლეს. დააპატიმრეს რამდენიმე.

სტამბოლი. ქიამილ-ფაშის მოსვლამ უნიონისტების ბანაკი აალელვა. შინაგან საქმეთა სამინისტროში მის მოსვლის გამო ბჭობაა. საიდუმლო პოლიციის აგენტები თვალყურს ადევნებენ მის სახლს და მიმსვლელ-მომსვლელთა ვინაობას ირკვევენ.

ლონდონი. შუადღის ორის ნახევარ საათზე დელეგატები სენ-ჯემის სასახლიდან ერთად გამოვიდნენ მეგობრულის ბაასით, ალბათ კმაყოფილნი სხდომის შედეგით.

სტამბოლი. ქიამილ-ფაშა დილით სმირნას წავიდა.

ბუდაპეშტი. დებრენჩიდან მოსულ გრაფ ტისსას ვოგზალში მრავალი ასეული მუშა მტრულათ შეხვდა. ყვიროდნენ: „ძირს ტისსა!“ და ქვებს ესროდნენ. ტისსა უვნებელია.

პორტ-საიდი. საბერძნეთის ესკადრა ეგვიპტის წყლებიდან უმთავრესს ძალებთან შესაერთებლად გაიწვიეს.

ლონდონი. ხელშეკრულებას სხდომის დაწყების 5 წუთით წინ მოაწერეს ხელი. გრეიმ სიტყვით მიჰმართა და მადლობა გადაუხადა დელეგატებს მორიგებისთვის.

რუსეთი.

რიგა. შეიარაღებულ მძარცველებმა საფოსტო მატარებელი გააჩერეს. გარს შემოერტყნენ და გაძარცვეს. ერთი მოხელე დასჭრეს. მგზავრები სროლის შიშით დაიჭირეს. საშველად გაგზავნეს მატარებლით ჟანდარმები.

ლოძი. რვა ქარხანაში ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცნენ (?) მეტი მქსოველი მუშა.

პეტერბურგი. სახალხო განათლების სამინისტრომ ცირკულიარი გამოსცა ებრაელების უნივერსიტეტში მიღების ახალ წესის მიღებისა.

შემოწირულება

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 26 მაისს გასამართ სეირნობისათვის შემოსწირეს: (ნინო ტარიელის ასული ავალიშვილის და ფუთუ ავალიანის ხელით) 1) ნინო ყორჩიშვილმა—ნაქვთიანი თეფში კედლისა, 2) თამარ გაბაშვილმა—გოზინაყის ვაზა, 3) ნერსესოვმა—ბალთები. (ნეიმანის ხელით). 4) იოსებ მათეს ძე ჩიჩახოვმა—ორი შუშა ოდეკალონი და სამი ნაჭერი საპონი; 5) რუბენ ოგანიანცმა—ერთი წყვილი ბავშვის ფეხსაცმელები, ერთი წყვილი ტუფლები, სამი ბანკა მაზი, 6) ს. ი. მატინიანცმა—ორი ჩარჩო, 7) ეგანოვმა—ერთი საფერფლე, 8) სიმონ მელიქას ძე ყარანგოზოვმა—ერთი ნაჭერი საპონი, ერთი გირვანქა კარამელი, ყუთი ირისი, ერთი კოლოფი ნამცხვარი, 1/4 გირ. ჩაი, 9) ფრიდონ ხუროშვილმა—50 კაპ., (ელენე მატარაძის ხელით): 11) რაჟდენ მირინაშვილმა—20 ბოთლი ღვინო, 12) მიტროფანე ლაღიძემ—50 ბოთლი ლიმონადი, 13) ნიკოლოზ ჭრელაშვილმა-6 ლამბაქი საუზმისა, 6 ჩაის ჭიქა, 14) თ-დ იასონ დავითის ძე ციციშვილმა შემოსწირა: ფრაქეს სამართებელი, ნახელოვნები [illegible] ფიალა, ფრაქესივე [illegible] ალბომი ღია წერილებისა, 22 ცალ სურათებიანი ღია წერილი, წყვილ ბროლის სამურაბე ვაზა, წყვილ შანდლის როზეტკა, ატლასზე ნ კერი მაგიდის აზგა, 12 სტოპი დი ფორმატის ფოსტის ქაღალდი, ცალი ფაბერის კარანდაში, 1 ცალ კალმის ტარი კალმით, 1 ფოლად ჩიბუხის საწმენდი—სულ ღირებულ —14 მან. 90 კაპ. 15) ვანო დ შურაშვილმა—10 ცალი ილია ჭა ჭავაძის სურათი.

წერილი რედ. მიმარ

ბატონო რედაქტორო! უმორჩი ლესადა გთხოვთ, ნება მოგვცე თქვენის გაზეთის საშუალებით გ ლითადი მადლობა გადაუხადო შემდეგ პირებს: ბ. შალვა ქარუმ ძეს, რომელმაც თორმეტს მაისს გ გვიწია წინამძღოლობა და დაგვათვა ლიერებინა ქართულ გიმნაზიასთა არსებული ქართული ისტორიულ ეთნოგრაფიული და წერა-კითხვ გამავრცელებელ საზოგადოების მ ზეუმები. აგრეთვე ვუძღვნით დიდ მადლობას მუზეუმების გამგეებ, რომლებმაც მოგვცეს საშუალებ გავცნობოდით ძველს ქართულს ის ტორიულს ნაშთებს.

ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის ს ღამოს ქართულ კურსებზე მოსიარულ მუშების მონაწილეობით **ზურაბ გიორ გიშვილი.**

ბ. რედაქტორო!

ჩოხატაურის უფასო წიგნთ-საცა სამკითხველოს გამგეობის წევრნი, უმორჩილესად გთხოვენ, ნება მისცეთ უღრმესი მადლობა გამოუცხადონ ვლადიმერ სარდიონის ძე ალმესხიშვილს, რომელმაც კეთილ ინება და 9 მაისს გამართულ საიუბილეო წარმოდგენის შემოსავალი, რომელიც გამგეობას, როგორც მცირედი წვლილი მისთვის უნდა მიერთმია, არ აიღო და ისევ მის სახელობაზე აგებულ თეატრს შესწირა.

გამგეობის წევრნი: **კნ. ვერა ერისთავისა, თ. გრ თავდგირიძე, მღვდლები თომა მეგრელიშვილი და ბესარიონ დოლიძე, ბათლომე მეგრელიძე, პარმენ ჭანიშვილი და ს. თავართქილაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა ჭუმბაძე.

ყივანა-ხველებიან ბავშვებს
ასვით
სიროლინ „როშ“-ი,
იგი სულ მოკლე ხანში **დაუყუჩებს**
მტანჯველ ყივილსა და **ხველას.**

იშოვება
ყველა აფთიაქსა
და საათიაქო
მაღაზიაში.

მეტცლ. 66865.

უსათუოდ
მოითხოვეთ
სიროლინ „როშ“-ი
ქარხნის თავისებურ
გასახვევით.
1008

პარიზის [illegible] ◆ ახალი ფასონები ◆
კორსეტებისა
ვენის საკორსეტო [illegible]
[illegible]
ტფილისი, [illegible]
1168.

СТОЛОВОЕ ВИНО
Юбилейное
300
Т/Д. БР. СЕСІЕВЫ и К°
ВЪ ТИФЛИСЪ

1078

გონორრეის (სუსუნაკის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:
„SALO—პირილინ“.
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.**
აგრეთვე კარგად მოქმედებს მეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.
დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საათიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების საწყობში.
Метцль 2 238. 1038

ქალაქის საავადმყოფოები
მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.
ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და **თვითონ** ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე **მოიწვიეს**, ვალდებულია იმ დღესვე **ინახულოს** ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

კახეთის რკინის გზა
ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება საგარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საგარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი $4^1/_2$ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. **„კავკაზის“** რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. საგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.**
198

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შ ე ხ ა პ უ ნ ე ბ ა
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. ბავშვიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. ბავშვიო და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. აველისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

მსოფლიოდ ცნობილი
კ რ ე მ ი
კ ა ზ ი მ ი
მეტამორფოზისა.
ერთად-ერთია მთელი ქვეყნის ქალების მიერ მოწონებული.
ძირიანად სპობს მზის ნამწვს, ძიძიბებს, ლაქას, ჭორფლს, ნაოჭებსა და პირისახის სხვა ნაკლულევანებას.
Метцль 27295. 1185
წვულ. დეპარტამენტის მიერ. № 4683.

METAMORPHOSA
CAZIMI

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“,
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე ახლად შეკეთებული მოწყობილობა ყოველ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29% და 35%, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიათ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.
1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

ცინკოგრაფია წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ კლიშეების დამზადებას
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. ✹ Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12.
1090.

მიტროფანე ლაღიძის და ამხ.
ფრიად სასიამოვნო და ჯანმრთელობისათვის მარგებელი სასმელი წყალი სასმური გემოსი და სურნელებისა
ხილეული, სამკურნალო და მინერალური
წ ყ ა ლ ი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით:**
„М. ЛАГИДЗЕ“.
ქარხნები: **ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411; ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.**
1214



მუდამ დღე მოგვდის
ახალ-ახალი
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმ...
ძმ. ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.
ძმ.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.